ევროპის საბჭოს კონვენციას ქალებზე ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ საქართველომ ხელი 2014 წელს მოაწერა. კონვენციის მიზანია, დაიცვას ქალები ძალადობის ყოველგვარი ფორმისგან. კონვენცია არის ერთგვარი შემავსებელი საქართველოს კანონისა „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ.“ ერთობლივად ისინი წარმოადგენენ სიღრმისეულ ინსტრუმენტს ოჯახში ძალადობისაგან ქალთა დასაცავად და უზრუნველყოფენ კონვენციის პირობების შესრულებას.<sup>27</sup> საქართველოს შემთხვევაში, კონვენციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან იგი ეხება ძალადობის ყველა ფორმას, რომელთა შორისაა: „იძულებით ქორწინება, ფსიქოლოგიური ძალადობა, ფიზიკური ძალადობა, ოჯახში ძალადობა, სექსუალური ძალადობა გაუპატიურების ჩათვლით, იძულებით აბორტი, იძულებით სტერილიზაცია და ვალდებულებას აკისრებს სახელმწიფოებს, გაატარონ შესაბამისი საკანონმდებლო ღონისძიებები აღნიშნული მიმართულებით“, ქვეყანაში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით.<sup>28</sup> მიუხედავად იმისა, რომ

24. კომუნიკაცია. განცხადება #24/2009. „X და Y საქართველოს წინააღმდეგ“.  
 25. ევროპის საბჭოს კონვენცია ქალებზე ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ, მიღებულია 2011 წლის 11 მაისს, ძალაში შევიდა 2014 წლის 1 აგვისტოს. CETS No. 210. <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/rms/090000168008482e>  
 26. ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების ცენტრი. „X და Y საქართველოს წინააღმდეგ“. <http://blogs.lse.ac.uk/vaw/landmark-cases/a-z-of-cases/x-and-y-v-georgia>  
 27. ევროპის საბჭოს კონვენცია ქალებზე ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ. მუხლი 2(2).  
 28. ნობაძე, ნ. „ოჯახში ძალადობა და სტამბოლის კონვენციასთან დაკავშირებული გამოწვევები საქართველოში“. 2015.



საქართველომ კონვენციას ხელი 2014 წელს მოაწერა, მთავრობამ კონვენციის რატიფიცირება სამი წლის განმავლობაში არ მოახდინა. რატიფიცირების შესახებ გადანაცვებილება მინისტრთა კაბინეტმა 2017 წლის 19 მაისს - ხელმოწერიდან 3 წლის შემდეგ მიიღო. კონვენციის რატიფიცირების შედეგად, დევნა, ქალის სასქესო ორგანოს დასახიჩრება, ოჯახში ძალადობა და ძალადობის სხვა ფორმები უფრო ადვილად დასჯადი ხდება კანონმდებლობის ფარგლებში. კონვენცია ძალაში 2017 წლის 1 სექტემბერს შევიდა.<sup>29</sup> ეროვნული კანონმდებლობისა და კონვენციის პარმონიზაციის მიზნით, საქართველოს პარლამენტმა ეროვნულ კანონმდებლობაში 24 ცვლილება შეიტანა და ამით კიდევ ერთხელ დაადასტურა მზადყოფნა ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრისთვის საბრძოლველად.<sup>30</sup> ცვლილებები ეხება ადევნებას, ქალის სასქესო ორგანოს დასახიჩრებას, იძულებით სტერილიზაციას და ა.შ. მიუხედავად ამისა, როგორც UNDP-ს ახალ ანგარიშშია ხაზგასმული<sup>31</sup>, მთავარი ცვლილებები კანონმდებლობაში ჯერ კიდევ შესატანია, მაგალითად, როგორცაა: სექსუალური შევიწროების აკრძალვა, გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის განმარტების შეცვლა, ოჯახში ძალადობის კრიმინალური საქმისწარმოების გაუმჯობესება და ა.შ. აღნიშნული ცვლილებების გატარების პროცესს და ეფექტურობას „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მოქმედების ექსპერტთა ჯგუფი“ (GREVIO) გაზომავს - ეს არის დამოუკიდებელ ექსპერტთა წარმომადგენლობა, რომელიც „სტამბოლის კონვენციის“ იმპლემენტაციის მონიტორინგზეა პასუხისმგებელი.<sup>32</sup> რადგან საქართველომ კონვენციის რატიფიცირება ახლახანს მოახდინა, შესრულებისა და ეფექტური იმპლემენტაციის ანგარიშის გამოქვეყნება 2020 წლის აპრილისთვისაა დაგეგმილი.<sup>33</sup>

## პეკინის დეკლარაცია და მოქმედებათა პლატფორმა

ქალების თემაზე გაეროს მიერ ორგანიზებულ ოთხ კონფერენციას შორის ბოლო პეკინში, 1995 წელს ჩატარდა. პეკინის დეკლარაცია 189 ქვეყანამ მიიღო. მისი მთავარი მისია იყო შეესრულებინა გენდერული თანასწორობის თემაზე არსებული საკვანძო საერთაშორისო დოკუმენტის ფუნქცია. 1995 წელს დეკლარაციის მიღებაში საქართველოს, როგორც გაეროს წევრი ქვეყნის დელეგაციაც მონაწილეობდა.<sup>34</sup> დეკლარაციის მიზანია, აღმოფხვრას „ყველა ის დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის ქალთა აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში და უზრუნველყოს ქალთა სრული და თანასწორი ჩართულობა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული მიმართულებით და გადანაცვებილების მიღების პროცესში.“<sup>35</sup> დეკლარაცია გამოყოფს განსაკუთრებით კრიტიკულსფეროებს, როგორცაა: ქალები და მედია, ქალები და სიღარიბე, ქალთა განათლება, ქალთა მიმართ ძალადობა, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა, ქალთა

29. ევროპის საბჭოს კონვენცია ქალებზე ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ. <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/210/signatures>
30. გაეროს ქალთა ორგანიზაცია. სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება საქართველოს მიერ. <http://eca.unwomen.org/en/news/stories/2017/05/georgia-ratifies-the-istanbul-convention>
31. გაეროს განვითარების პროგრამა. გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები. თავი 1.
32. ევროპის საბჭო. „სტამბოლის კონვენციის სამოქმედო გეგმა ქალთა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ“. <https://www.coe.int/en/web/istanbul-convention/grevio>
33. ევროპის საბჭოს კონვენცია ქალებზე ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ. <https://www.coe.int/en/web/istanbul-convention/timetable>
34. საქართველოს მთავრობის ანგარიში პეკინის მოქმედებათა პლატფორმის გეგმის შესასრულებლად განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.
35. გაეროს ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენცია (1995 წლის 15 სექტემბერი). პეკინის დეკლარაცია და მოქმედებათა პლატფორმა.

მონაწილეობა ქვეყნის მართვაში და სხვა.<sup>36</sup> პეკინის კონვენცია დღემდე წარმოადგენს მძლავრ საყრდენს ყველა იმ მთავრობისთვის, რომელმაც 1995 წლის კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა.

## გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია #1325

2000 წელს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია #1325 ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე. სხვა მრავალ პუნქტთან ერთად, რეზოლუცია „მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, გაზარდონ ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო ინსტიტუციებში [...]“<sup>37</sup> საქართველოს მთავრობამ რეზოლუცია #1325-ის მეორე, 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა დაამტკიცა, რომელიც არაერთ კონსულტაციასა და მონიტორინგის რეკომენდაციებს ეყრდნობა ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა: უსაფრთხოების სექტორში გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალთა რაოდენობის გასაზრდელად შესაბამისი გარემოს შექმნა, იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების ეკონომიკური გაძლიერებისთვის საჭირო პროგრამების ხელმისაწვდომობა, რეზოლუცია #1325-ის შესახებ ცნობიერების ამაღლება და ა.შ.<sup>38</sup> როგორც პრემიერ მინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებში, სოფიო ჯაფარიძე აცხადებს, „რეზოლუცია #1325-ის ეროვნული სამოქმედო გეგმა ერთ-ერთი ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტია იმისთვის, რომ მთავრობის მიერ გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების მიმართულებით აღებული ვალდებულებები გრძელვადიან შედეგებად იქცეს და ამ გზით შეეწყოს ხელი მშვიდობის, უსაფრთხოებისა და დემოკრატიის დამყარებას როგორც საქართველოში, ასევე რეგიონში.“<sup>39</sup>

## > ეროვნული კანონმდებლობა

1990 წლიდან დღემდე საქართველომ არაერთი საკანონმდებლო ინსტრუმენტი შეიმუშავა გენდერული თანასწორობის მიღწევისა და შემდგომი უზრუნველყოფის მიზნით. საყურადღებოა, რომ გარდა კონსტიტუციისა, რომელიც ყველა ადამიანისადმი თანასწორი მოპყრობის უპირველესი გარანტია, ქვეყანამ ასევე მიიღო:

- „საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ“;
- „საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ“;
- „საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“;
- „საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“.

## საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს კონსტიტუცია ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო დოკუმენტს წარმოადგენს. მისი მეთოთხმეტე მუხლი ყველა ადამიანის თანასწორობას უსვამს ხაზს: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა,

36. გაეროს ქალთა ორგანიზაცია. ქალთა მსოფლიო კონფერენცია. <http://www.unwomen.org/en/how-we-work/intergovernmental-support/world-conferences-on-women>

37. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია #1325.

38. გაეროს ქალთა ორგანიზაციის საქართველოს ოფისი. 2016-2017 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ განხორციელებისთვის.

39. იქვე 37.

რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.<sup>40</sup> კონსტიტუცია იცავს მოქალაქეთა - ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობის იდეას.

## საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ

საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ 2010 წელს, საერთაშორისო ორგანიზაციების, მთავრობისა და ადგილობრივი არასამთავრობოების თანამშრომლობის შედეგად იქნა მიღებული.<sup>41</sup> კანონი იმ უფლებებსა და შესაძლებლობებს უსვამს ხაზს, რომელთა გარანტიც საქართველოს კონსტიტუციაა და ყურადღებას ამახვილებს მათი განხორციელების პრაქტიკულ მექანიზმებზე. კანონის მიღება მიზნად ისახავდა გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრას და ქალთა და მამაკაცთათვის თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფას. დოკუმენტი წინა პლანზე აყენებს შემდეგი პრინციპების დაცვას:

- ა) „ქალისა და მამაკაცის თანასწორი ინდივიდუალური უფლებები და თავისუფლებები;
- ბ) ქალისა და მამაკაცისათვის განათლების მიღების თანაბარი ხელმისაწვდომობა და განათლების თავისუფალი არჩევანი სწავლების ყველა ეტაპზე;
- გ) მეუღლეთა უფლებრივი თანასწორობა;
- დ) შვილებთან დაკავშირებული თანასწორი უფლებები და მოვალეობები;
- ე) ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლება-მოვალეობები იყვნენ ბავშვთა მეურვეები, მზრუნველები, რწმუნებულები, მშვილებლები;
- ვ) ოჯახსა და საზოგადოებაში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა;
- ზ) პროფესიის ან სამუშაოს სახეობის თავისუფლად არჩევა, თანამდებობრივი დანიშნულება, პროფესიული მომზადება/გადამზადება;
- თ) საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავება პროფესიული ნიშნის, უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის შესაბამისად;
- ი) თანასწორი მოპყრობა ქალისა და მამაკაცის მუშაობის ხარისხის შეფასებისას;
- კ) თანაბარი სოციალური უზრუნველყოფა ქალისა და მამაკაცის ავადმყოფობისას და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის შემთხვევაში;
- ლ) თანასწორი შესაძლებლობების შექმნა ქალისა და მამაკაცის ჯანმრთელობის დაცვისას;
- მ) ქალისა და მამაკაცისათვის თანასწორი შესაძლებლობების შექმნა ინფორმაციის ხელმისაწვდომობისას.<sup>42</sup>

ამასთანავე, აღნიშნულმა კანონმა შემოიტანა გენდერული თანასწორობის საბჭოს აუცილებლობა პარლამენტში, რომელიც „საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად განსაზღვრავს გენდერულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის შექმნასა და განვითარებას, განიხილავს და ამტკიცებს შესაბამის სტრატეგიას, აკონტროლებს გენდერული თანასწორობის საკითხებზე საქართველოს პარლამენტის

40. საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 14.

41. გენდერული თანასწორობის შეფასება. USAID/Georgia.

42. საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ. მუხლი 4.

წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობას.<sup>43</sup> საბჭო ასევე უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის მისაღწევად შემუშავებული ეროვნული სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და იმპლემენტაციას. 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის თანახმად, კანონის გადახედვა ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. შემოთავაზებული ცვლილება სტამბოლის კონვენციის რატიფიკაციის შედეგია და ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო ინსტრუმენტთან ჰარმონიზაციისთვის არის საჭირო. პირველად საქართველოს ისტორიაში, ეროვნული სამოქმედო გეგმა მოიცავს ყველა ტიპის ძალადობას, სექსუალური ძალადობისა და ადრეული ქორწინების ჩათვლით. ის ასევე ითვალისწინებს ისეთი უფლებების წინ წამოწევას, როგორცაა: პოლიტიკური მონაწილეობა, განათლება და ა.შ. სამოქმედო გეგმა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გასაზრდელად ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობების საჭიროებასაც უსვამს ხაზს. რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დოკუმენტი 2017 წლისთვის ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გასაზრდელად საკანონმდებლო ცვლილებების ადვოკატირებასაც ითვალისწინებს. შემოთავაზებული ზომების ეფექტიანობის გასაზომად, ინდიკატორი სწორედ საარჩევნო კოდექსში სავალდებულო გენდერულ კვოტასთან დაკავშირებული ცვლილება უნდა იყოს.<sup>44</sup>

„გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონის“ მეოთხე მუხლი ხაზს უსვამს ქალთა და მამაკაცთა თანასწორ უფლებას, ჩართულნი იყვნენ პოლიტიკურ ცხოვრებაში. კანონის მიღების შემდეგ არაერთი დებატი გაიმართა პოლიტიკური პარტიებისთვის სავალდებულო გენდერული კვოტის მიღების შესახებ.<sup>45</sup> აღნიშნული საკითხის წინ წამოწევა საჭირო გახდა იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ საქართველოს პარლამენტში ქალთა რაოდენობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება საშუალო მაჩვენებლებს საერთაშორისო მასშტაბით.<sup>46</sup> მსოფლიოს მასშტაბით, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მაჩვენებლის მიხედვით, საქართველო 124-ე ადგილზეა 193 ქვეყანას შორის. მიუხედავად იმისა, რომ ქალთა წარმომადგენლობა პარლამენტში საგრძნობლად გაიზარდა, ქალებს ჯერ კიდევ უკავიათ საპარლამენტო მანდატების სრული რაოდენობის მხოლოდ 15%.<sup>47</sup> აქედან გამომდინარე, შესწორებები შევიდა „საქართველოს ორგანულ კანონში მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ და პოლიტიკურ პარტიებს საშუალება მიეცათ, ფინანსური წახალისება მიეღონ საარჩევნო სიებში მეტი ქალის ჩართვის შემთხვევაში. 31-ე მუხლის 7(1) პარაგრაფის თანახმად, „პარტია, რომელიც იღებს დაფინანსებას ამ მუხლით დადგენილი წესით, მიიღებს საბაზო დაფინანსებაზე დანამატს საბაზო დაფინანსების 30%-ის ოდენობით, თუ ამ პარტიის ან შესაბამისი საარჩევნო ბლოკის მიერ იმ არჩევნებზე წარდგენილ პარტიულ სიაში (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებზე - ყველა პარტიულ სიაში), რომლის შედეგების საფუძველზედაც მიიღო დაფინანსება, კანდიდატთა პირველ, მეორე და ყოველ მომდევნო ათეულში ერთიმეორისაგან განსხვავებული სქესი წარმოდგენილია სულ მცირე 30%-ით.“<sup>48</sup> უფრო მეტიც, საქართველოს საარჩევნო კოდექსში ნათქვამია, რომ თუკი საარჩევნო სიაში გენდერული ბალანსი დაცული იქნება, ორგანული კანონის 115-ე(6) და 143-ე(5) მუხლების თანახმად, პარტია დამატებით

43. საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ. მუხლი 12.

44. გენდერული თანასწორობის საბჭო. სამოქმედო გეგმა 2016-2017.

45. პატარაია ბ. „ქართული პოლიტიკა ქალების გარეშე - კვოტა, როგორც პრობლემის გადაჭრის მექანიზმი.“ ევროკავშირი-საქართველოს ასოციაციის დღის წესრიგის განხორციელების მონიტორინგი. 2015.

46. პარლამენტისთვის გაერთიანება და გაეროს ქალთა ორგანიზაცია. [http://www.unwomen.org/~media/headquarters/attachments/sections/library/publications/2014/wmnm14\\_en%20pdf.ashx](http://www.unwomen.org/~media/headquarters/attachments/sections/library/publications/2014/wmnm14_en%20pdf.ashx)

47. საია. „ქალები ქართულ პოლიტიკაში - საქართველოში 2016-2018 წლების საარჩევნო ციკლის პერიოდში ქალთა პოლიტიკურ საარჩევნო პროცესებში ჩართულობის გარემოს შესწავლა“. 2017, გვ. 13.

48. საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ. მუხლი 30, პარაგრაფი 7(1).

დაფინანსებას მიიღებს.<sup>49</sup> მიუხედავად ამისა, როგორც კვლევამ აჩვენა, წამახალისებელი ზომა საკმარისი არ აღმოჩნდა პარტიებისთვის, რათა მათ ქალთა მონაწილეობის გაზრდისთვის შეეწყობთ ხელი. შესაბამისად, მიღებული საკანონმდებლო ცვლილება, ჯერჯერობით, შედეგიანად ვერ ჩაითვლება.<sup>50</sup>

ნებაყოფლობითი გენდერული კვოტების წარუმატებლობას მოჰყვა არაერთი მცდელობა სავალდებულო გენდერული კვოტების მისაღებად. ბოლო წინადადება, რომელიც პარლამენტში 2017 წელს, 37.000 ადამიანის ხელმოწერით შევიდა და 50%-იან სავალდებულო გენდერულ კვოტას ითვალისწინებდა როგორც საპარლამენტო, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, პარლამენტმა ჩააგდო.<sup>51</sup>

## საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ

საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ პარლამენტმა 2006 წელს მიიღო. კანონი მსხვერპლისთვის სტატუსის მინიჭების და ტრეფიკინგისგან მოქალაქეთა, განსაკუთრებით, ქალებისა და ბავშვების დაცვის საშუალებას იძლევა. როგორც 22-ე მუხლშია ნათქვამი, „საქართველოს სახელმწიფო ორგანოების თანამშრომლობა უცხო ქვეყნების შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის სფეროებში განისაზღვრება „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაეროს კონვენციის, მისი დამატებითი ოქმის „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“, „ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის, საქართველოს მიერ შესაბამის სახელმწიფოებთან დადებული სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ ხელშეკრულებების და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად.“<sup>52</sup> კანონის მიზანია, შექმნას სამართლებრივი საფუძველი მსგავსი ტიპის დანაშაულის აღსაკვეთად და მსხვერპლთა დასაცავად.

## საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ

2006 წელს პარლამენტმა მიიღო „საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. 2014 წელს კანონში შევიდა შესწორება, რომელიც ძალადობის მსხვერპლი ქალების შემდგომ დაცვას უზრუნველყოფს. ცვლილების მიზეზი 2014 წელს დაფიქსირებული ფემიციდის მაღალი მაჩვენებელი გახდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველომ დაუყოვნებლად გადადგა ნაბიჯები ქალთა მიმართ ძალადობასთან საბრძოლველად და შესაბამისად, კანონში გაჩნდა მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტი, რომლის მიხედვითაც „ოჯახში

49. საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ. მუხლი 115(6) და 143(5).

50. იქვე 9.

51. საქართველოს პარლამენტის ბიურო. <https://info.parliament.ge/#law-drafting/14155>.

52. საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ. მუხლი 22.

ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის გამოიყენება სისხლის-სამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები.“<sup>53</sup> „სტამბოლის კონვენციის“ რატიფიცირების კვალდაკვალ, საქირო გახდა არსებული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია საერთაშორისო ინსტრუმენტთან, შესაბამისად, კანონში ცვლილება შევიდა და დღეს ის მოიცავს არა მხოლოდ ოჯახში ძალადობას, არამედ ზოგადად, ძალადობას ქალთა მიმართ. შეიცვალა დოკუმენტის სახელიც და დღეს მას ეწოდება „კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. აქედან გამომდინარე, კანონში შესული ცვლილებები შეეხო შემდეგ საკითხებს: დამცავ და შემაკავებელ ორდერებს, რომლის გამონერაც ახლა ნებისმიერი სახის ძალადობის შემთხვევაშია შესაძლებელი, თავშესაფრის მიღების უფლებას, მსხვერპლისთვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევას და ა.შ.<sup>54</sup>

## საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ

2014 წლის მაისში პარლამენტმა მიიღო „საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“. კანონის მიღების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ევროკავშირისა და საქართველოს შორის უვიზო მიმოსვლისაკენ ნაბიჯის გადადგმა იყო. თუმცა მიზეზს განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს, რადგან აღნიშნული კანონი მნიშვნელოვან წინსვლად უნდა ჩაითვალოს გენდერული თანასწორობის და ზოგადად, ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებითაც.<sup>55</sup> „ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან ნოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შებლუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.“<sup>56</sup> კანონის თანახმად, „დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი“.

შესაბამისად, საჩივრები უნდა შევიდეს სახალხო დამცველის აპარატში, რომელიც ეცდება, შეასრულოს მედიატორის როლი მხარეებს შორის და შესაბამის რეკომენდაციებსაც გასცემს. გასათვალისწინებელია, რომ თუკი საქმე სასამართლოში გადაინაცვლებს, რეკომენდაციები ძალას კარგავს.<sup>57</sup> მიუხედავად პროგრესული გარემოებებისა, რომელიც ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებას ახლავს თან და მყარი თეორიული კომპონენტისა, კანონს არ გააჩნია ეფექტური მექანიზმი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრისათვის. მიუხედავად ამისა, ასეთი კანონის მიღებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს საზოგადოების განვითარებისთვის, ასევე გენდერული თანასწორობის და ზოგადად, თანასწორობის მისაღწევად.

53. იქვე, მუხლი 9 (1).

54. „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4206478>

55. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. „ახალი ანტიდისკრიმინაციული კანონი: გამოწვევები და მიღწევები“.

56. საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. მუხლი 1.

57. ბოლო ნახვა. 11/25/2016 <http://www.civil.ge/eng/article.php?id=27192>

# კვლევის მეთოდოლოგია

მოცემული გენდერული რანგირება საარჩევნო, ინსტიტუციონალური და პროგრამული კომპონენტებისგან შედგება. მეთოდოლოგიის დახვეწისა და მოდიფიცირების შედეგად, არსებული რანგირება 2014 წლის შემდეგ მომხდარი მოვლენების შეფასების საშუალებას გვაძლევს. 2014-15 წლებში ჩატარებულმა მომდევნო რანგირებამ მეთოდოლოგია მნიშვნელოვნად გააუმჯობესა და ეს ცვლილებები დიდი სიფრთხილით დაინერგა წინა რანგირებაში, ერთი მცირე შესწორებით. ზუსტად აღნიშნული ცვლილებების გაანალიზების შემდეგ, გადავწყვიტეთ ახალი მეთოდოლოგიის გამოყენება. შევითანეთ ერთი დამატებითი ცვლილებაც - ვინაიდან საარჩევნო კომპონენტის დათვლისას სრულყოფილი გენდერული თანასწორობა საერთო ქულების 50%-ით იქნებოდა გადმოცემული, ჩავთვალეთ, რომ თავდაპირველი მონაცემი ორზე გავამრავლოთ, ამგვარად, იდეალური გენდერული თანასწორობა გამოიხატება 100%-ით, რაც შინაარსობრივად უფრო ლოგიკურ სურათს გვაძლევს. დანარჩენი ორი კომპონენტის შემთხვევაში, ჯამური ქულები არ საჭიროებენ მსგავს მოდიფიკაციას.

ჯამური ინდექსი, რომელიც პროცენტებითაა გამოხატული, თავის მხრივ, სამი კომპონენტისაგან შედგება, სადაც **საარჩევნო კომპონენტი** ერთიანი მაჩვენებლის 50%-ია, **ინსტიტუციონალური და პროგრამული** პარამეტრების ხვედრითი წილი კი 25-25% შეადგენს. საარჩევნო კომპონენტს შედარებით მაღალი ხვედრითი წილი აქვს, რადგან მიიჩნევა, რომ დემოკრატიისთვის არჩევნები ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელიც ძალაუფლებას გამოცდის. შესაბამისად, საარჩევნო კომპონენტში გამოხატული გენდერული თანასწორობა უკვე გატარებული პოლიტიკისა და მიგნებების ეფექტურ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს, ისევე, როგორც ძალთა გადანაწილება პოლიტიკური პარტიის შიგნით, რომელიც ჯერ პარტიულ საარჩევნო სიებზე, შემდეგ კი საკანონმდებლო ორგანოების წევრთა სიებზე აისახება ქალთა თანასწორობა, ან უთანასწორო წარმომადგენლობით.

წელს საარჩევნო მიმართულება 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების სამ კომპონენტს მოიცავს: მერის, პროპორციულ და მაჟორიტარულ არჩევნებს. თითოეულ მათგანს თანაბარი ხვედრითი წილი გააჩნია. ათწილადების გამოყენების გასამარტივებლად, გადავწყვიტეთ, რომ მერის არჩევნების კომპონენტისთვის 34% მიგვენიჭებინა, მაჟორიტარული და პროპორციული კომპონენტისთვის კი 33-33%. მიზეზი ის გახლავთ, რომ მერის არჩევნები, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების მოსაპოვებლად გამართული ბრძოლა, უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევა, და თანაც, გამარჯვებულთა რაოდენობაც გაცილებით შეზღუდულია. თუკი ზემოთ აღწერილი კომპონენტების მიხედვით, ქალთა შესაბამის რაოდენობებს გადავხედავთ, თითოეული მათგანი საშუალებას მოგვცემს, დავინახოთ, როგორია შიდაპარტიული ვითარება გენდერული თანასწორობის კუთხით. მეორე გზა კი არჩეული ქალების ხვედრითი წილის გადახედვაა, რადგან მნიშვნელობა არა აქვს, გენდერულად რამდენად დაბალანსებულად გამოიყურება პარტიის მიერ შედგენილი საარჩევნო სია, თუკი არჩეულებს შორის კაცები მნიშვნელოვნად ჭარბობენ. ასეთ შემთხვევაში, სავსებით გონივრულად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქალი კანდიდატები მხოლოდ პროპორციული სიის ბოლოს აღმოჩნდნენ, ან ისეთ რაიონებში იყვნენ წარმოდგენილი მაჟორიტარობის ან მერობის კანდიდატებად, სადაც გამარჯვების მინიმალური შანსი ჰქონდათ. პოლიტიკური პარტიის მხრიდან ასეთი მიდგომა გენდერული დისკრიმინაციის არაპირდაპირი და შეფარული გზაა, რომელიც მსგავს შემთხვევებში გამოიყენება.

**საარჩევნო კომპონენტი** მოიცავს ექვს ინდიკატორს - სამი მათგანი აფასებს კანდიდატებად წარმოდგენილ ქალთა რაოდენობას, სამი მათგანი კი - არჩეულ ქალთა რაოდენობრივ მაჩვენებელს. უფრო დაზუსტებით:

- ა) ქალების შეფარდება მამაკაცებთან პარტიების მიერ წარმოდგენილ პროპორციულ სიებში 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე (16.5%).
- ბ) შესაბამისი პარტიიდან 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად პროპორციული სისტემით არჩეული ქალების შეფარდება მამაკაცებთან (16.5%).
- გ) 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, ქალების შეფარდება მამაკაცებთან ერთმანდატიან მაჟორიტარულ ოლქებში, შესაბამისი პოლიტიკური პარტიის მიხედვით (16.5%).
- დ) ქალების შეფარდება მამაკაცებთან 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად მაჟორიტარული წესით არჩეულ კანდიდატებს შორის, პარტიების შესაბამისად (16.5%).
- ე) ქალების შეფარდება მამაკაცებთან 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე შესაბამისი პარტიის მიერ წარმოდგენილ მერობის კანდიდატებს შორის (17%).
- ვ) ქალების შეფარდება მამაკაცებთან 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად არჩეულ მერებს შორის (17%).

**ინსტიტუციონალური კომპონენტი** ზომავს, თუ რამდენად მაღალია გენდერული ცნობიერება პარტიის შიგნით, მის მმართველ ორგანოებში და რამდენად აისახება ეს შიდა რეგულაციებზე. აღნიშნული კომპონენტი შედგება შემდეგი ინდიკატორებისგან (თითოეულს 25% აქვს მინიჭებული):

- ა) ქალების შეფარდება მამაკაცებთან მთავარ ადმინისტრაციულ ორგანოში და ქალების შეფარდება მამაკაცებთან მმართველ საბჭოში (პროცენტული მაჩვენებელი).
- ბ) სპეციფიკურად გენდერული თანასწორობის საკითხებისათვის გამოყოფილი ბიუჯეტის პროცენტული მაჩვენებელი.
- გ) ქალთა და/ან გენდერული თანასწორობის საკითხების დანაყოფის არსებობა და ფუნქციონირება. ცვლადი შემდეგნაირად ფასდება: 0 - არ არსებობს, 1 - არსებობს, მაგრამ არ მუშაობს, 2 - არსებობს და მუშაობს, 3 - არსებობს, მუშაობს და მნიშვნელოვანი ფუნქციებიც გააჩნია (პროცენტული მაჩვენებელი).
- დ) ქალებსა და/ან გენდერული თანასწორობის საკითხებზე ფოკუსირებული აქტივობების რაოდენობა. აღნიშნულ ცვლადს 5 ტიპის შეფასება აქვს: 0 - ქალების მონაწილეობით აქტივობები არ განხორციელებულა, 1 - ქალთა საკითხებთან დაკავშირებით, სპეციფიკური ღონისძიებები არ ჩატარებულა, 2 - ასეთი აქტივობები განხორციელებულა, 3 - განხორციელებულა აქტივობები, რომელიც გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ფორმულირებას ისახავდა მიზნად, 4 - განხორციელებულია აქტივობები ქალთა უფლებების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ასაშაღლებლად, ასევე ჩატარებულია ტრენინგები ქალებისთვის (პროცენტული მაჩვენებელი).

**პროგრამული კომპონენტის** მიხედვით, ფასდება ქალთა და გენდერული თანასწორობის საკითხების პრიორიტეტულობა პარტიის დღის წესრიგში. აღნიშნული კომპონენტი შედგება ორი ინდიკატორისგან, რომელთაგანაც თითოზე 50% მოდის:



- ა) რამდენადაა წარმოდგენილი გენდერული თანასწორობის საკითხები პარტიის წესდებასა და რეგულაციებში. აღნიშნულ ცვლადს 5 ტიპის შეფასება აქვს: 0 - არ არის წარმოდგენილი, 1 - წესდებაში ნახსენებია გენდერული თანასწორობა, 2 - წესდება, ან არსებული რეგულაცია მოიცავს კონკრეტულ მექანიზმებს გენდერული თანასწორობის საკითხების წინ წამოსაწევად, 3. წესდება, ან არსებული რეგულაცია ითვალისწინებს მინიმუმ ერთს ჩამოთვლილთაგან: სავალდებულო დაფინანსება ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გასაზრდელად, სავალდებულო გენდერული კვოტა, და/ან სავალდებულო კვოტები პარტიის რეგიონულ და ცენტრალურ ოფისებში, 4 - ზემოთ ჩამოთვლილ ინსტრუმენტთაგან, მინიმუმ, ორია წარმოდგენილი (პროცენტული მაჩვენებელი).
- ბ) პარტიულ პროგრამებში CEDAW მექანიზმებისა და კონკრეტული ღონისძიებების არსებობა გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნულ ცვლადს 5 ტიპის შეფასება აქვს: 0 - გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები საერთოდ არაა ნახსენები, 1 - გენდერული თანასწორობა ზოგადაა ნახსენები, 2 - წარმოდგენილია, მინიმუმ, ერთი კონკრეტული ინსტრუმენტი გენდერული თანასწორობის ან ქალთა უფლებების მხარდასაჭერად, 3 - წარმოდგენილია, მინიმუმ, ორი კონკრეტული ინსტრუმენტი გენდერული თანასწორობის ან ქალთა უფლებების მხარდასაჭერად, 4 - წარმოდგენილია, მინიმუმ, სამი კონკრეტული ინსტრუმენტი გენდერული თანასწორობის ან ქალთა უფლებების მხარდასაჭერად (პროცენტული მაჩვენებელი).

## > პოლიტიკური პარტიები

ისევე, როგორც წინა შემთხვევებში, შევეცადეთ, შესწავლილი პარტიების ოპტიმალური რაოდენობის შენარჩუნებას. საქართველოში ორასამდე პოლიტიკური პარტია და მოძრაობაა რეგისტრირებული. მათი უმრავლესობა ათწლეულების განმავლობაში უმოქმედოა. თუმცა ნაწილი დროდადრო აქტიურდება და პოლიტიკურ სცენას უბრუნდება. მეორე მხრივ, როგორც უკვე ითქვა, რელევანტური პოლიტიკური პარტიების რიცხვი საკმაოდ მცირეა. უფრო მეტიც, პარტიების დიდი ნაწილი, რაღაც ეტაპზე, მოქმედებას წყვეტს, ყოველ ახალ არჩევნებს კი პოლიტიკური აქტორების ახალი ჯგუფის გამოჩენა უძღვის წინ, რომლებიც გარკვეული დროის განმავლობაში მეტ-ნაკლები წარმატებით საქმიანობენ, სანამ მალევე გაუჩინარდებიან. იმისათვის, რომ ყველაზე რელევანტური პოლიტიკური პარტიები მხედველობიდან არ გამოგვრჩენოდა, მარტივი კრიტერიუმით ვიხელმძღვანელებთ: ყურადღება იმ პოლიტიკურ პარტიებზე შევაჩერეთ, რომელმაც 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების 3%-ზე მეტი მიიღო. ასეთი პარტია სულ ხუთია: „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპული საქართველო“, „პატრიოტთა ალიანსი“ და „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“.

## > რესურსები და წყაროები

საჭირო ინფორმაციის მიღება შესაძლებელი გახდა საჯარო მონაცემების გამოყენებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან სტრუქტურული ინტერვიუების ჩატარების შედეგად. ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა პოლიტიკური პარტიების ვებგვერდები და ფეისბუქ გვერდები, საიდანაც წესდებების, რეგულაციებისა და პროგრამული პლატფორმების შესწავლა გახდა შესაძლებელი. ზოგიერთი მათგანი მმართველი ორგანოს შესახებაც იძლეოდა ინფორმაციას. დეტალური მონაცემების მოპოვება არჩევნებისა და პარტიული სიების შესახებ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდზეა შესაძლებელი. ასევე, აქტიურად ვიყენებდით EECMD-ის მიერ შექმნილ ვებგვერდს [www.partiebi.ge](http://www.partiebi.ge), სადაც, პოლიტიკური პარტიების მისამართით, საგანგებოდაა კითხვები დასმული ისეთი საკითხების ირგვლივ, რომლებიც ხშირად რჩება საარჩევნო პროგრამებს მიღმა.

აღსანიშნავია, რომ პარტიების წარმომადგენლებთან ინტერვიუების ჩატარების გარეშე საჭირო ინფორმაციის მიღება შეუძლებელი გახდებოდა. როგორც ჩანს, პოლიტიკური პარტიები მიდრეკილნი არიან, არ განაახლონ ოფიციალური ვებგვერდები. უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანი ვებგვერდზე საარჩევნო პროგრამასაც კი არ აქვეყნებს. თუმცა პოლიტიკურმა პარტიებმა აქტიურად ითანამშრომლეს ჩვენთან და ინტერვიუსა და შემდგომი კომუნიკაციის პროცესში, კვლევისთვის აუცილებელი ყველა ინფორმაცია მოგვანოდეს.

## გენდერული რანგირების შედეგები და ანალიზი

### > საარჩევნო კომპონენტი

საარჩევნო კომპონენტი დაყოფილია ექვს ნაწილად. პირველ ოთხ ნაწილზე საერთო მაჩვენებლის 16.5% მოდის, ბოლო ორზე კი - 17%. მონაცემები წარმოდგენილია ცხრილი 1-ის და დიაგრამა 1-ის სახით.


ცხრილი 1. საარჩევნო მონაცემები საქართველოს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის

	პარტიის დასახელება	კანდიდატების საერთო რაოდენობა	ქალები	ქალების შეფარდება (%)
ა) პროპორციული სიები: წარდგენილი კანდიდატები	ლეიბორისტული პარტია	896	406	45.31%
	პატრიოტთა ალიანსი	957	316	33.02%
	ევროპული საქართველო	944	299	31.67%
	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	948	285	30.06%
	ქართული ოცნება	968	220	22.73%
ბ) პროპორციული სიები: მოპოვებული მანდატები	ქართული ოცნება	577	129	22.36%
	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	157	26	16.56%
	ევროპული საქართველო	105	16	15.24%
	პატრიოტთა ალიანსი	76	11	14.47%
	ლეიბორისტული პარტია	17	2	11.76%
გ) ერთმანდატიანი მაჟორიტარული ოლქები - წარდგენილი კანდიდატები	ლეიბორისტული პარტია	180	47	26.11%
	ევროპული საქართველო	922	204	22.13%
	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	896	149	16.63%
	პატრიოტთა ალიანსი	668	99	14.82%
	ქართული ოცნება	1087	85	7.82%
დ) ერთმანდატიანი მაჟორიტარული ოლქები - არჩეული კანდიდატები	პატრიოტთა ალიანსი	14	2	14.29%
	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	24	3	12.5%
	ქართული ოცნება	1026	79	7.7%
	ევროპული საქართველო	10	0	0%
ე) მერობის კანდიდატები	ლეიბორისტული პარტია	19	4	21.05%
	პატრიოტთა ალიანსი	43	7	16.28%
	ევროპული საქართველო	58	7	12.07%
	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	59	7	11.86%
	ქართული ოცნება	64	2	3.13%
ვ) არჩეული მერები	ქართული ოცნება	62	1	1.61%

მომზადებულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებზე დაყრდნობით.

შესაბამისად, როდესაც ზემოთ მოტანილი მონაცემები მეთოდოლოგიაში აღწერილ ფორმულაში ჩავსვით, მივიღეთ გენდერული თანასწორობის საარჩევნო კომპონენტის რანგირება პოლიტიკურ პარტიებში (დიაგრამა 1).

დიაგრამა 1. გენდერული თანასწორობის საარჩევნო კომპონენტი




ზემოთ მოცემული ინფორმაციიდან ზოგადი და სპეციფიკური დასკვნების გამოტანა შესაძლებელია. ძირითადი ტენდენცია გვიჩვენებს, რომ პროპორციულ სიებში ქალთა წარმომადგენლობა გაცილებით მაღალია, ვიდრე მაჟორიტარულში. ქალების შეფარდება მამაკაცებთან განსაკუთრებით დაბალია მერობის კანდიდატებს შორის. ეს მიგნება კიდევ ერთხელ ამყარებს თეორიას, რომ პროპორციული საარჩევნო სისტემა არაპრივილეგირებული ჯგუფების სასარგებლოდ მუშაობს. საპირისპირო ფაქტორი კიდევ უფრო ვარაუდის საფუძველს იძლევა მაშინ, როცა რისკის ქვეშ აღმასრულებელი პოსტები დგება. ყველა პარტიას, მინიმუმ, ორჯერ მეტი ქალი ჰყავდა წარმოდგენილი

პროპორციულ სიებში, ვიდრე მერობის კანდიდატად. უფრო მეტიც, ყველა პარტიის შემთხვევაში, არჩეული ქალების შეფარდებითი რაოდენობა პროპორციულ სიებში წარმოდგენილთა რაოდენობაზე ნაკლები იყო, გარდა „ქართული ოცნებისა“ - აქ განსხვავება უმნიშვნელო აღმოჩნდა. ეს ყველაფერი ასევე მიუთითებს იმაზე, რომ პოლიტიკურ პარტიებში ქალები არათანაბარ მდგომარეობაში არიან - ისინი ან საარჩევნო სიის ბოლოს აღმოჩნდებიან, ან ერთმანდატიან მაჟორიტარულ ოლქებში არიან წარმოდგენილი, სადაც გამარჯვების შანსი გაცილებით ნაკლებია. საყოველთაოდ ცნობილია მაჟორიტარობის კანდიდატების მიმართ არსებული მოლოდინი, რომ საკუთარ საარჩევნო კამპანიას ისინი თავად დააფინანსებენ და ასევე, წვლილს შეიტანენ პოლიტიკური პარტიისთვის საჭირო თანხების მობილიზებაში, რაშიც ქალები იშვიათად სჯობნიან მამაკაცებს. გარდა ამისა, რაც შეეხება ერთმანდატიან მაჟორიტარულ ოლქებს, შესაძლოა, მიზეზი ისიც იყოს, რომ საზოგადოება მამაკაც კანდიდატებს უფრო უჭერს მხარს, ვიდრე მათ ქალ კონკურენტებს. ეს განსაკუთრებით მერის არჩევნებს ეხება - მაგალითად, 2017 წლის არჩევნებზე მმართველმა პარტიამ მერობის მხოლოდ ერთი ქალი კანდიდატი წარადგინა და სწორედ ის აღმოჩნდა ერთადერთი კანდიდატი 64-ს შორის, რომელმაც გამარჯვება ვერ შეძლო. სპეციფიკური მიგნებები ცხადყოფს, რომ ჩვენი ანგარიშის მიხედვით, ყველაზე დაბალი საერთო მაჩვენებელი მმართველ პარტიას აქვს, რაც მოსალოდნელ შედეგებზეც ვრცელდება, რადგან მცირდება არაპრივილეგირებული ჯგუფის შეფარდება, კანდიდატების საერთო რაოდენობის ფონზე, ვინაიდან გამარჯვების ალბათობა იზრდება. ამის მიზეზი შიდა პარტიული კონკურენციაა, რომელშიც არაპრივილეგირებული ჯგუფების წარმომადგენლები იშვიათად იმარჯვებენ.

## > ინსტიტუციონალური კომპონენტი


ამ კომპონენტის ანალიზისთვის საჭირო ინფორმაცია დიდწილად ეფუძნება პარტიების წარმომადგენლებთან ჩატარებულ პირისპირ ინტერვიუსს. ჩვენ მოვითხოვეთ, რომ ინფორმაცია მიგველო დოკუმენტის სახით, ან ისეთი სანდო წყაროს საშუალებით, როგორც ვებგვერდია. ზოგიერთმა პარტიამ არ უზრუნველყო ინფორმაციის მონოდება. ასეთ შემთხვევებში, გადავწყვიტეთ, რომ მათი მონაცემები შესაბამისად შეგვემციებინა. ინსტიტუციონალური კომპონენტის ანალიზის შედეგები დიაგრამა 2-შია მოცემული.

დიაგრამა 2. ინსტიტუციონალური კომპონენტის წედილი მონაცემი



გამოყოფილი ბიუჯეტი და ქალები ხელმძღვანელ პოზიციებზე ის ორი კომპონენტია, რომელიც შეიძლება უფრო ობიექტურად შეფასებულიყო. ნებისმიერ შემთხვევაში, გაირკვა, რომ პარტიულ ბიუჯეტში გენდერული თანასწორობის მიმართულებით გამოყოფილი თანხა არცერთ პოლიტიკურ პარტიას არა აქვს. რაც, თავისთავად, არ ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკური პარტიები, საჭიროებიდან გამომდინარე, საერთოდ არ ხარჯავენ ფულს აღნიშნულ საკითხზე, უბრალოდ, ამგვარი დანახარჯები წინასწარ განერილი არ არის. ამ მონაცემებზე დაყრდნობით ქვემოთ მოცემული მაჩვენებელი და რანგირება მივიღეთ.


დიაგრამა 3. ინსტიტუციონალური მაჩვენებელი და რანგირება



დიაგრამაში ნაჩვენებია, რომ „ქართული ოცნება“ ამ კომპონენტში ისევ ბოლო ადგილზეა და მას „პატრიოტთა ალიანსი“ უსწრებს. მმართველმა პარტიამ მაღალი შეფასება მიიღო მენეჯმენტის ნაწილში, მაგრამ ის ჩამორჩება სხვა კომპონენტებში, რაც მის საერთო რეიტინგს დაბლა წევს. აქაც, ისევე, როგორც წინა კომპონენტში, მონიწივე ადგილი „ლეიბორისტულმა პარტიამ“ დაიკავა, რომელსაც ოდნავ ჩამორჩება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.


## > პროგრამული კომპონენტი

დიაგრამა 4. პროგრამული კომპონენტის მაჩვენებელი და რანგირება




შედეგები გვიჩვენებს, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გარდა, საარჩევნო პროგრამებში ქალთა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე ყურადღებას არავენ ამახვილებს, პარტიის ქალთა ორგანიზაციების არსებობის ვალდებულებას კი, დებულების მიხედვით, მხოლოდ „ქართული ოცნება“ და „ევროპული საქართველო“ იღებენ. რაც შეეხება „პატრიოტთა ალიანსს“ და „ლეიბორისტულ პარტიას“, მათ ამ ნაწილში შეფასება ვერ მიიღეს, რადგან აღნიშნული საკითხებისთვის 2017 წლის საარჩევნო პროგრამაში ყურადღება არ დაუთმიათ. გენდერული თანასწორობის მხარდასაჭერი საგანგებო მექანიზმების არსებობას არც მათი დებულებები ითვალისწინებს.

დიაგრამა 5. გენდერული თანასწორობა საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში (2017)



დიაგრამა 6. გენდერული თანასწორობის ჯამური ინდექსი (2017)





პოლიტიკის მკვლევართა უმეტესობას მიაჩნია, რომ პროპორციული წარმომადგენლობა უფრო მეტი სარგებლის მომტანია როგორც გენდერული მრავალფეროვნების წარმოჩენის, ასევე ზოგადად, უმცირესობათა წარმომადგენლობის გაზრდის მიმართულებით. განვითარებადი დემოკრატიის მქონე 14 ქვეყანაში ჩატარებული კვლევის შედეგად, არენდ ლაიპპარტი დაადგინა, რომ პროპორციული სისტემის არსებობის შემთხვევაში, ქალთა წარმომადგენლობა, საშუალოდ, ოთხჯერ დიდია.<sup>58</sup> მეცნიერი რეკომენდაციას აძლევს ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყნებს, ამ და სხვა მიზეზების გამო, პროპორციულ სისტემას მიანიჭონ უპირატესობა, რადგან იგი ხელს უწყობს პარტიის პროგრამულ განვითარებას და პოლიტიკური პლურალიზმის მიღწევაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. წინამდებარე კვლევის შედეგებიც ზემოთ ხსენებული ვარაუდების ნათელი დადასტურებაა.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტის გათვალისწინებით, რომელიც დოკუმენტის დასაწყისში დეტალურად მიმოვიხილეთ, ცხადია, რომ პოლიტიკურ სფერო დიდწილად ადამოკიდებული კლიენტელისტიკურ და ქარიზმატულ ბმებზე, რომელიც ელექტორატსა და პოლიტიკურ ელიტას შორის არსებობს. შესაბამისად, საარჩევნო პროგრამები მეორე ადგილზე ინაცვლებს, ისევე, როგორც არჩევნების პერიოდში პარტიის მიერ შერჩეულთა ვინაობა. ქალთა დაბალი პოლიტიკური მონაწილეობა სწორედ ასეთი მიდგომების შედეგია. რადგან პარტიის წარმატება კანდიდატების კლიენტელისტიკურ პოტენციალზეა დამოკიდებული, ქალები, როგორც წესი, ნაკლებად კონკურენტუნარიანები არიან. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ლიმიტირებული ფინანსური შესაძლებლობები და მათი შეზღუდული ბაზისი გამჭვირვალობასა და შიდაპარტიულ დემოკრატიასაც უშლის ხელს. ფაქტი, რომ პოლიტიკური პარტიების უმეტესობას არ გააჩნია გენდერული თანასწორობის მიმართულებით გამოყოფილი ბიუჯეტი და აღნიშნული საკითხი არც წესდებაშია განწერილი, ამის დასტურია.

მოცემული ვითარების ანალიზი ცხადყოფს, რომ ერთადერთი, ვისაც გენდერული თანასწორობის კუთხით, დადებითი ზემოქმედების მოხდენა შეუძლია პოლიტიკურ პარტიებზე, საერთაშორისო საზოგადოებაა. პარტიების ყველა წარმომადგენელთან ინტერვიუ ერთსა და იმავე ამბავს ჰყვება - ყველა ის მიღწევა, რომელიც გენდერული თანასწორობის მიმართულებით უკვე არსებობს საქართველოს პოლიტიკაში, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერის შედეგია.

თუ წინა ანგარიშს გადავხედავთ, ცხადი გახდება, რომ ძირითადი ტენდენციები და ზოგადი ვითარება არ შეცვლილა. ოთხი პარტია, რომელიც ორივე ანგარიშში ფიგურირებს, გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით, ძველ ადგილას რჩება. არცერთ მათგანს არ შეუტანია ინსტიტუციური ცვლილებები ბიუჯეტირების მიმართულებით, მიუხედავად იმისა, რომ მათი საჯარო დაფინანსება, არსებული კანონის თანახმად, სწორედ წამახალისებელი ზომის გენდერული ბონუსის გამო გაიზარდა. რეკომენდებულია, პოლიტიკურმა პარტიებმა ისეთი ცვლილებები დანერგონ, რომელიც არა მარტო გენდერულ ბიუჯეტირებას უზრუნველყოფს, არამედ ხელს შეუწყობს სპეციალური ზომების შემოღებას, რათა მომავალში ქალები უფრო თანასწორად იყვნენ წარმოდგენილი პოლიტიკურ ასპარეზზე.

58. არენდ ლაიპპარტი. "საკონსტიტუციო არჩევანი ახალი დემოკრატიებისთვის". ლარი დაიმონდი და მარკ ფ. პლატნერი (რედ). დემოკრატიის გლობალური აღმავლობა. ბალტიმორი: ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის გამოცემა. 1996. გვ. 168-169.







**Eastern European Centre  
For Multiparty Democracy**

Sharashidze 7 | 0179 Tbilisi, Georgia

---

**აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი  
მრავალპარტიული დემოკრატიისათვის**  
შარაშიძის 7 | 0179 თბილისი, საქართველო

[contact@eecmd.org](mailto:contact@eecmd.org) | [www.eecmd.org](http://www.eecmd.org)

